

ბიზნესის განწყობის ინდექსი

ბიზნესის მოლოდინები
უსწრებს რეალობას

11.5

ზრდა

კვლევის ძირითადი შედეგები

კვარტალი 2 - 2017

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი


მცირე და საშუალო



59



152



ქართული ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა 2017 წლის მეორე კვარტალში და 29.0 ერთეულს მიაღწია, რაც წინა კვარტალთან შედარებით 11.5 პუნქტით მაღალია. ინდექსის ზრდა ძირითადად მიმდინარე მდგომარეობისა და მოლოდინების ინდექსების მნიშვნელოვანმა გაუმჯობესებამ განაპირობა.

პირველ კვარტალში შესამჩნევი ვარდნის შემდეგ (20.8 პუნქტით შემცირება), მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი (რომელიც გასული სამი თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი) ბიზნესის მდგომარეობას გვიჩვენებს) მნიშვნელოვნად, 12.3 პუნქტით გაუმჯობესდა. სხვა სექტორებთან შედარებით, სოფლის მეურნეობის დარგმა ყველაზე დადებითად შეაფასა საკუთარი საქმიანობა.

აღნიშნული კვლევის ყველაზე გასაოცარ შედეგს წარმოადგენს ბიზნესის ოპტიმიზმის მკვეთრი ზრდა: მოლოდინების ინდექსი თითქმის გაორმაგდა და 63.0 პუნქტს მიაღწია, რაც ქართული BCI-ის ინდექსის ისტორიაში ყველაზე დიდ მაჩვენებელს წარმოადგენს! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოკითხული ბიზნესების უმეტესობა მოელის საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მომდევნო კვარტალში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული განწყობის მაღალი მაჩვენებელი ძლიერი მიმდინარე მდგომარეობის შედეგია, რომელსაც თან ერთვის დადებითი მაკროეკონომიკური მოვლენები, როგორც საქართველოში (სტაბილურობა და ადგილობრივი ვალუტის გამყარება), ისე მის ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში.

გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი მნიშვნელოვნად შემცირდა. სოფლის მეურნეობის დარგში შოლვანე ბიზნესები, მომდევნო კვარტალისთვის, საკუთარი პროდუქციის გასაყიდი ფასების ყველაზე დიდ ვარდნას პროგნოზირებენ.

დიდი ბიზნესები უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილები, ვიდრე მცირე და საშუალო ზომის ბიზნესები.

მიუხედავად ზომისა, გამოკითხული ბიზნესების უმეტესობა საკუთარი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან შემზღუდველ ფაქტორად მოთხოვნის სიმცირესა და ფინანსებზე წვდომას ასახელებენ.

მეთოდოლოგიის სანახავად, გადადით მომდევნო ბმულზე

BCI-ის მონაცემების სანახავად, გადადით მომდევნო ბმულზე

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] შკალაზე. ინდექსის სიდიდე გვიჩვენებს გამოკითხული რესპოდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შენონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. ხოლო, თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური მენიშვნები).